ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

# ო ქ მ ი N34

**სხდომის ჩატარების დრო:**
**7 ნოემბერი, 2023 წელი**

**სხდომის ჩატარების ადგილი:**
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი.**

**ესწრებოდნენ კომისიის წევრები:**
თეიმურაზ ნადირაძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, მაგდა კოსტავა, მამუკა რიჟამაძე, ზაქრო მამასახლისი, ბესიკ ხამაშურიძე, კობა გურული.

**სულ:** 8 წევრი.

**არ ესწრებოდნენ:** მაია სიმონიძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე.

**სულ:** 6 წევრი.

**სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **იუზა უგულავა.**
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი **თინათინ ბერიშვილი.**
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი **ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი,** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ბაქარ მახარაძე,** საკრებულოს წევრი **ელეონორა არჩაია.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით) იჯარის ფორმით, მოქალაქეების: თათია თათელიშვილის, ლელა ვარდოსანიძის და სოფიო ჭელიშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

4.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს საპატრიარქოსათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

5.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ქალაქ ქუთაისი, წითელი ხიდის სამხრეთით/წითელი ხიდის სამხრეთ-აღმოსავლეთით შენობა-ნაგებობა N1 /საპირფარეშო/) ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

6.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაია სიმონიძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ"**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „საპრივატიზაციო ნუსხას ემატება ათი ობიექტი, აქედან ცხრა მათგანი არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ასათიანის ქუჩაზე და ერთი-შენობა-ნაგებობა ნოდარ დუმბაძის ქუჩა N59/61-ში."

**ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:**

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „დუმბაძის ქუჩაზე არსებულ შენობა-ნაგებობასთან დაკავშირებით მაქვს შეკითხვა, იქ არიან ორგანიზაციები, რომლებიც ფუნქციონირებენ, რა არის სამომავლო გეგმები ამათთან დაკავშირებით, გადაგვყავს თუ არა სადმე? იჯარის ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში რა ალტერნატივას ვთავაზობთ და რა ვადებს მივცემთ ფაქტის წინაშე დადგომის შემთხვევაში, თუ შეიძლება ორი სიტყვით რომ განგვიმარტოთ."

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „ამ შენობას ვსვამთ ნუსხაში და გვაქვს ორი ვარიანტი, რომელზეც ჯერ ჩამოყალიბებული არ ვართ, პირველი - ბიზნესს შევთავაზოთ ალტერნატიული ფართის აშენება და გვქონდა საუბარი კერძო სუბიექტებთან, მიწა გამოყოფილია ნიკეას ქუჩაზე, 6000 კვადრატი, რომელიც დარეზერვებულია შენობის ასაშენებლად, ბიზნესსუბიექტები, რომლებიც არიან მოიჯარეები შევთავაზებთ, რომ ერთად განვახორციელოთ მშენებლობა, ეს შენობა პირობითად იქნება სამ სართულიანი, პირველ სართულზე იქნება მადლიერების სახლი, მეორეზე-სამსახურები რომლებიც იქ ფუნქციონირებენ და მესამე სართული შეგვეთავაზებინა ბიზნესსექტორისათვის, ხოლო მეორე შემთხვევაში გაჩნდა აზრი, რომ გავყიდოთ უპირობოდ, ყველა კერძო სუბიექტს მივცემთ გონივრულ ვადას, რომ გადალაგდნენ იმ ალტერნატიულ ახალ ფართში, რომელიც ჩვენს მიერ იქნება მოძიებული, თუმცა ეს ყველაფერი მოხდება მაშინ, როდესაც გეგმაში ჩავსვამთ და ამის შესახებ წინასწარ იქნებით ინფორმირებული."

კომისიის წევრი, ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე:** „ბატონო იუზა, დაახლოებით რა ფართობის შენობაა საჭირო, რომ იქ არსებული მერიის სამსახურები განთავსდეს?"

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „ამის თქმა მე არ შემიძლია, გამოვაცხადებთ პროექტირებას და პროექტის ხელმძღვანელს პროექტზე ექნება პირობა, დარბაზი უნდა აშენდეს დაახლოებით 250-300 ადამიანის ტევადობითა და შესაბამისი ინფრასტრუქტურით, ბენეფიციარებმა უნდა შეძლონ ერთდროულად სადილობაც ამ დარბაზში, ხელმძღვანელი კი იმ პირობაში აღნიშნავს რა არის საჭირო ამ დარბაზის კეთილმოსაწყობად, ჩვენ ამიტომ არ გავყავით 6700 კვადრატული მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთი, ნიკეას ქუჩის პირველ ზოლში, ტრანსპორტისათვის მისადგომადაც მარტივი იქნება,

დანაჩენს არქიტექტორი დააპროექტებს და მეორე სართული იქნება განსაზღვრული ოფისებისათვის, სადაც განთავსდებიან სამსახურები."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „მე დავეთანხმებოდი პირველ ვარიანტს, გაიყიდებოდა პირობით და სანამ აშენდებოდა ახალი ფართი, ეს გააგრძელებდა ფუნქციონირებას და აშენების შემდეგ კი გადავიდოდნენ ახალ ლოკაციაზე, მაგრამ მეორე ვარიანტის შემთხვევაში, ვთქვათ პიროვნებამ იყიდა უპირობოდ და ითხოვს ფართის დაუყოვნებლივ დაცლას, რეალურად მას ამის უფლება აქვს, ამ შემთხვევაში რა ბედი ელით მათ?"

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „მე წეღან ავღნიშნე, სანამ გამოვაცხადებთ აუქციონს, მანამდე მოვაწესრიგებთ მათთან ურთიერთობას, მყიდველს არ ექნება პირდაპირი შეხება შენობაში მყოფებთან, ჩვენ მანამდე გვექნება მოგვარებული ალტერნატიული ფართის საკითხი."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „გაყიდვის აუცილებლობას რითი ვხსნით?"

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „გაყიდვის აუცილებლობა მდგომარეობს შემდეგში, რომ მადლიერების სახლი უნდა გადავიდეს ნორმალური სტანდარტებით და ინფრასტრუქტურით აღჭურვილ ფართში, სადაც ნორმალურად განახორციელებს თავის ფუნქციას, რაც დღესდღეობით სრულყოფილად შეუძლებელია."

კომისიის წევრი, ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე:** „საკმაოდ დიდი ფართობია საჭირო იქ არსებული დღის ცენტრების და სხვადასხვა დაწესებულებების განსათავსებლად, დიდი დაფიქრებაა საჭირო სწორად იქნეს შერჩეული ფართი, რომ განთავსდნენ ეს ბავშვები და ყველაფერი სტანდარტებში იყოს ჩასმული, ვფიქრობ, ძალიან სენსიტიური თემაა, რომელსაც ძალიან ფრთხილი გადაწყვეტილების მიღება ესაჭიროება."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „არის თუ არა დაინტერესება კერძო სექტორისგან?"

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „ვერ გეტყვით არის თუ არა, წერილი არ შემოსულა."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ჩვენი, საკრებულოს ჩართულობა ამ შენობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში იმედია აქტიური იქნება."

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „მე გპირდებით, რომ არ მოხდება შენობის აუქციონზე გატანა, მანამ, სანამ ეს პირობა თქვენ არ გეცოდინებათ."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ჩვენ უფრო განვიცდით უპირობოდ გასხვისების თაობაზე, ამ შემთხვევაში უფრო მეტი რისკია იქ არსებული ჩვენი სამსახურების ფუნქციონირება შეფერხდეს, უცებ ვერ მოხდება მათი გადაყვანა სხვაგან."

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „კიდევ ერთხელ გავიმეორებ, სანამ ჩვენ შენობას უპირობო აუქციონზე გამოვიტანთ, მანამდე მოვაწესრიგებთ ამ თემებს, იქ არსებულ ორგანიზაციებს არავინ დააყენებს იმ ფაქტის წინაშე, რომ დაუყოვნებლივ დაცალონ შენობა, ვერც მესამე პირს დაავალებს ვინმე, მან მოუძიოს ალტერნატიული ფართი, ასე რომ ამ თემების მოგვარება ჩვენი საქმეა და სანამ შენობის უპირობოდ პრივატიზაცია მოხდება, სამსახურები უნდა იყვნენ სხვაგან დაბინავებული უკვე, ვისთანაც იჯარის ხელშეკრულებაა დადებული ან გაწყდეს ხელშეკრულება, ან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მოხდეს გადაწყვეტილების მიღება."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ჩვენი მთავარი ინტერესი იყო გაგვეგო, რომ არ გაიყიდება შენობა მანამ, სანამ იქ მყოფი ყველა ორგანიზაცია თუ სამსახური არ გადავა სხვა, ახალ შენობაში და გააგრძელებს ფუნქციონირებას შეუფერხებლად."

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „თავისთავად,მადლიერების ბენეფიციარებზეც რომ ვთქვათ, წარმოუდგენელია, ამდენ ადამიანს ჰაერში ხომ არ დავტოვებთ, კიდევ ერთხელ ვიტყვი, თუ უპირობოდ გავყიდით ყველა ეს თემა იქნება გავლილი და მოგვარებული, ხოლო პირობით გაყიდვის შემთხვევაში შემოვალთ კვლავ თქვენთან წინადადებით. რაც შეეხება ნუსხაში დასამატებელ სხვა ობიექტებს განვმარტავ, რომ საკითხი ეხება ასათიანის ქუჩაზე არსებულ საკონსერვოს, მომართვა შემოვიდა სახელმწიფოდან, რომ გაგვეცა ნებართვა, გაყიდულიყო პირობით ეს ტერიტორია და საუბარი იყო დაახლოებით 5 მილიონზე, ჩვენ მივწერეთ სამინისტროს ჩვენი პირობა, ტერიტორია დაგვეყო ნაწილებად და ისე დაგვეკავშირებინა ერთმანეთისთვის, რომ მისი პრივატიზაციით ბიუჯეტში შემოვიდოდა 10 მილიონამდე შემოსავალი, რაზეც მივიღეთ თანხმობა, გადმოგვცეს ქონება, ჩვენ დავჭერით ნაწილებად და დღევანდელი ანგარიშით ეს არის 12 მილიონ ლარამდე შემოსავლის წყარო. თავიდან ვიფიქრეთ, რომ გაგვეკეთებინა სამშენებლო პირობებით, მაგრამ მერე ვარჩიეთ უფრო მიმზიდველი იქნებოდა თუ წინ წამოიწევდა ვაჭრობის თემა, გავაკეთებთ 5 ლოტს და დაველოდებით შემოსავალს."

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „ბატონო იუზა, მანდ არხი რომ გადმოდის ისიც შედის ამ ტერიტორიაში?"

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „აღნიშნული არხი ცალკე გამოვყავით სერვიტუტით და არც ეს და არც გზა, არ შედის ამ ტერიტორიაში."

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „ტერიტორია დაჭრის შედეგად რაიმე შეზღუდვაში ხომ არ მოექცა, რის გამოც შეიძლება ინვესტორმა უარი თქვას შეძენაზე?"

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „პირიქით, ჩვენ უფრო მიმზიდველი გავხადეთ, გზაც გავიყვანეთ შიდა ტერიტორიაზე ყველა ნაკვეთი მარტივად მისადგომია, ასათიანის და ჭავჭავაძის ქუჩებიც განიტვირთება ამ გზით ნაწილობრივ, ერთ-ერთი ნაკვეთი ემხრობა სასაფლაოს და სასაფლაოს მხრიდანაც არის შემოსასვლელი."

კომისიის წევრი ბატონი **ზაქრო მამასახლისი:**„როგორც თქვით, მყიდველს ფუნქციური შეზღუდვა არ აქვს, ვთქვათ სუბიექტმა იყიდა ნაკვეთი, რომელიც ესაზღვრება სასაფლაოს და ისევ სასაფლაოს გაკეთება გადაწყვიტა, ამ შემთხვევაში რახდება?"

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „სასაფლაოს გაკეთების ნებართვას იძლევა ეკონომიკის სამინისტრო, ეს ჩვენი კომპეტენცია არაა, მე კი ვყიდი უპირობოდ მაგრამ შენ სასაფლაოს მოწყობის შემთხვევაში ეს უფლება მთავრობისგან უნდა მოიპოვო, პირობითად მე რომ პირობაში მივუთითო სასაფლაოს გაკეთების აკრძალვა, მეტყვიან, რომ ჩემი კომპეტენცია და მოვალეობა არაა ზემოაღნიშნული და ამის მითითება არაკანონიერია ჩემი მხრიდან."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაია სიმონიძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

**მუხლი 2.** დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაია სიმონიძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

**მუხლი 2.** დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მესამე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით) იჯარის ფორმით, მოქალაქეების: თათია თათელიშვილის, ლელა ვარდოსანიძის და სოფიო ჭელიშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ა.კოპალეიშვილმა** აქვე აღნიშნა: „საუბარია კიბის უჯრედებზე, სამი ლოკაციიდან, ორი მიმდინარე იყო და ვადა უგრძელდება, ხოლო ერთი ახალი ემატება, მოკლედ ექცევა კანონის ჩარჩოებში."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაია სიმონიძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით) იჯარის ფორმით, მოქალაქეების: თათია თათელიშვილის, ლელა ვარდოსანიძის და სოფიო ჭელიშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

**მუხლი 2.** დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს საპატრიარქოსათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „საკითხი ეხება საქართველოს საპატრიარქოსათვის ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, კიბულის ქუჩის ბოლო მონაკვეთში მდებარე, მწვანეყვავილას სასაფლაოს ნაწილის, 10 კვადრატული მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთის უსასყიდლო უზურფუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემას, ეკლესიასთან ახლოს გამწვანების მოწყობის მიზნით."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „თუ გახსოვთ ჩვენ მას გადავეცით მიწის ნაკვეთი სამრეკლოს მოსაწყობად და იქვე ახლა გამწვანების გაკეთება სურთ და მოგვმართეს თხოვნით."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაია სიმონიძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს საპატრიარქოსათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

**მუხლი 2.** დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ქალაქ ქუთაისი, წითელი ხიდის სამხრეთით/წითელი ხიდის სამხრეთ-აღმოსავლეთით შენობა-ნაგებობა N1 /საპირფარეშო/) ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ა.კოპალეიშვილმა** აქვე განმარტა: „წითელ ხიდთან არსებული საპირფარეშო გამოგვაქვს აუქციონზე, საწყისი საპრივატიზებო საფასურია 4800 ლარი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „მომდევნო საკრებულოზე ალბათ ქალაქში არსებული ყველა საპირფარეშო ცალ-ცალკე შემოვა სხვადასხვა პირობებით, გაგზავნილია შეფასებაზე ამ ეტაპზე."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „დღის წესრიგში ხომ არ დგას სასაფლაოებზე საპირფარეშოების მოწესრიგება, მესმის რომ მოვლა-პატრონობის კუთხით ყოველთვის არის პრობლემები, თუმცა არც ისაა გამართლებული, რომ ზოგან საერთოდ არ ფუნქციონირებს, დღესასწაულების პერიოდში გაუსაძლისი სიტუაციაა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „ამ ეტაპზე არაფრის თქმა არ შემიძლია, რეაბილიტაციას და აშენებას დავაყენებდით დღის წესრიგში, თუმცა ყველაზე დიდი პრობლემა მათი მოვლა-პატრონობაა, სამომავლოდ

შეიძლება ზომების მიღება, ნამდვილად, სასაფლაოზე უნდა იყოს წყლის და ელექტროენერგიის საშუალებაც."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაია სიმონიძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ქალაქ ქუთაისი, წითელი ხიდის სამხრეთით/წითელი ხიდის სამხრეთ-აღმოსავლეთით შენობა-ნაგებობა N1 /საპირფარეშო/) ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

**მუხლი 2.** დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაია სიმონიძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

**მუხლი 2.** დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ამირან კოპალეიშვილი